მომხმარებლის უფლებების დაცვა ელექტრონული ვაჭრობის სფეროში - ქართული კანონმდებლობის ანალიზი ევროკავშირის სამართლის მაგალითზე

ვლადიმერ მამულია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე დევიძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ვლადიმერ მამულია

05.07.2021

აბსტრაქტი

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ ონლაინ კომერცია ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად აქცია. ტრადიციული სავაჭრო გარემოს ვირტუალურ სივრცეში გადატანა ცვლის მხარეთა შორის გარიგების დადების პროცესს და იწვევს მომხმარებლის დაცვის გაძლიერების აუცილებლობას.

სამართლებრივი ურთიერთობის მოწყვლადი მხარის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტების დანერგვა ხელს უწყობს ელექტრონული ვაჭრობის მიმართ მომხმარებელთა ნდობის ამაღლებას, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება სავაჭრო ბაზრის გაძლიერებაზე.

ელექტრონული კომერციის სფეროში მომხმარებელთა დაცვის უზრუნველყოფის საკითხი გათვალისწინებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმებითაც, რომლის მოთხოვნათა შესრულება აუცილებელია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანის - ევროპასთან ინტეგრაციის მისაღწევად.

ნაშრომში განხილულია დისტანციურად ვაჭრობისას მომხმარებელთა დაცვის მნიშვნელოვანი ასპექტები და ევროკავშირის სამართლით გარანტირებული ძირითადი უფლებები.

კვლევა მოიცავს საქართველოს კანონმდებლობის შედარებას ევროპის კავშირის სამართალთან. მოქმედი რეგულაციების სიმწირიდან გამომდინარე, ყურადღება გმახვილებულია საქართველოში დაგეგმილ საკანონმდებლო ცვლილებებზე. ნაშრომში გაანალიზებულია „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მოცემულია ავტორის რეკომენდაციები მომხმარებელთა დაცვის ევროსტანდარტების შესაბამისი დონის უზრუნველყოფის მიზნით კანონპროექტის გარკვეული დებულებების კორექტირებასთან დაკავშირებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ელექტრონული ვაჭრობა, მომხმარებლის უფლებები, სამომხმარებლო ხელშეკრულება, ევროკავშირის სამომხმარებლო სამართალი.

Abstract

After development of modern technologies, online commerce became an integral part of daily lives of people. Transmission of traditional trading environment to virtual space changes the process of concluding a transaction by the parties and leads to the need to strengthen consumer protection.

Introduction of high standards for protection of the weaker party of the legal relationship helps to increase consumer confidence in e-commerce, which, in turn, has a positive impact on strengthening of the trade market.

The issue of consumer protection in the field of e-commerce is also provided for in the Association Agreement concluded between Georgia and the EU, the requirements of which must be met in order to achieve one of the main tasks of the foreign policy of Georgia - integration with Europe.

The working paper hereof discusses the important aspects of consumer protection in e-commerce and the fundamental rights guaranteed by the EU law.

The study includes the comparison of the legislation of Georgia with the EU law. Due to exiguity of the applicable regulations, the focus is made on the planned legislative changes in Georgia. The working paper analyzes the draft law of Georgia "On Consumer Protection" and provides the author's recommendations regarding adjustment of certain provisions of the draft law in order to ensure the level relevant to the EU standards for consumer protection.

Keywords: e-commerce, consumer rights, B2C contract, EU consumer law.